ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №53

2015 წლის 3 ივლისი

ქ. გორი

„ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 02 აგვისტოს №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 63-ე მუხლის და საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ" მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 02 აგვისტოს №14 დადგენილებით(www.matsne.gov.ge, 08/08/2014; 010250050.35.174.016014) დამტკიცებულ დებულებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

ა) მე-3 მუხლის „პ" ქვეპუნქტში შეტანილ იქნეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით :

„პ) მშენებლობის ნებართვის თაობაზე ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებების შემუშავებას."

ბ) მე-5 მუხლის „ე" ქვეპუნქტში შეტანილ იქნეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) მშენებლობის ნებართვის თაობაზე ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერის სამართლებრივი აქტების შემუშავებას".

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **პაპუნა კობერიძე**